

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

სოციალური პოლიტიკის  
დოკუმენტი

ბაღდათი, საქართველო  
2019 წელი

## წინასიტყვაობა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური პოლიტიკის სტრატეგია [2020- 2024 წელი], ასახავს ბაღდათის მუნიციპალიტეტში სოციალური პროგრამების განხორციელებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით არსებულ ხედვას, მიზნებსა და მიღწევის გზებს.

სტრატეგია წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დოკუმენტს, რომელიც ეფუძნება თემის საჭიროებების კვლევას, რომლის მომხადებაც შესაძლებელი გახდა პროექტის „ინკლუზიური დიალოგი ეფექტური სოციალური პოლიტიკისათვის“ ფარგლებში. პროექტი მიზნად ისახავდა ზესტაფონისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტებში სოციალური მომსახურების მიწოდების სისტემის გაუმჯობესებას და ინკლუზიური თანამშრომლობითა და ადგილობრივ თვითმართველობასთან დიალოგის გზით, უკეთესი და საჭიროებებზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკის შემუშავებას.

ამასთან, დოკუმენტში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის, საკრებულოსა და სოციალური სამსახურის თანამშრომელთა შეხედულებები და დამოკიდებულებები, რომელთა გამოვლენაც მოხდა ადგილზე განხორციელებული სამუშაო შეხვედრების ფარგლებში.

წინამდებარე სოციალური პოლიტიკის დოკუმენტი/სტრატეგია წარმოადგენს ცოცხალ დოკუმენტს, რომელიც საჭიროებს განახლებას და ცვლილებების ინტეგრირებას საჭიროებების წარმოქმნის შემთხვევაში.

*დოკუმენტი შემუშავდა პროექტის „ინკლუზიური დიალოგი - ეფექტური სოციალური პოლიტიკისათვის“ ფარგლებში, ორგანიზაცია „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის“ (ISC) მიერ. პროექტს ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო (LDA) პარტნიორ ორგანიზაციებთან - ააიპ ქალები რეგიონული განვითარებისთვის და ააიპ პედაგოგთა კავშირი განათლება და სამყარო, ერთად ახორციელებს ზესტაფონისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტში.*

## შინაარსი

წინასიტყვაობა.....	2
შესავალი .....	4
არსებული სიტუაციის მიმოხილვა.....	5
სოციალური პოლიტიკის ხედვა.....	9
სოციალური პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულება, მიზნები და ამოცანები.....	9
სამოქმედო გეგმა .....	12
დასკვნა .....	14

## შესავალი

პოლიტიკის დოკუმენტის/სტრატეგიის მომზადება შესაძლებელი გახდა პროექტის „ინკლუზიური დიალოგი ეფექტური სოციალური პოლიტიკისათვის“ ფარგლებში, რომელსაც ევროკავშირის მხარდაჭერით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია “ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო” (LDA) ახორციელებს, ორგანიზაციებთან - “ქალები რეგიონული განვითარებისთვის” და “პედაგოგთა კავშირი განათლება და სამყარო” პარტნიორობით.

წინამდებარე სტრატეგია მოიცავს ანალიტიკურ და სტრატეგიულ ნაწილს, რაც თავისმხრივ წარმოდგენილია ძირითადი მიზნების, ამოცანებისა და სამოქმედო გეგმების სახით.

სტრატეგიის ანალიტიკური ნაწილი მოიცავს ბაღდათის მუნიციპალიტეტის თემის საჭიროებებისა და შესაძლებლობების თვისებრივი გზით შეფასების შედეგებს, რომელსაც საფუძვლად დაინტერესებულ მხარეებთან ფოკუს ჯგუფები და ოფიციალურად გამოთხოვილი ინფორმაცია დაედო. თემის საჭიროებების შეფასებაში მონაწილეობა მიიღეს თვითმმართველობის სტრუქტურების (საკრებულო, გამგეობა, მერია) წარმომადგენლებმა, თემის ფორმალურმა ლიდერებმა, აქტიურმა მოქალაქეებმა და სერვისებით/პროგრამებით მოსარგებლე პირებმა. ხოლო კვლევისათვის რელევანტური პროგრამული და სტატისტიკური ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა ადგილობრივი მუნიციპალური სამსახურისა და სოციალური მომსახურების სააგენტოდან. აღსანიშნავია, ისიც რომ, ადგილობრივ დონეზე განხორციელებულ იქნა ორდღიანი სამუშაო შეხვედრაც, რომლის მიზანსაც სოციალური სამსახურისა და მერიის თანამშრომელთა ჩართულობით თემისათვის პრიორიტეტული სოციალური პრობლემის გამოვლენა და მათზე საპასუხოდ სოციალური პროგრამის შემუშავება წარმოადგენდა.

წინამდებარე სოციალური პოლიტიკის დოკუმენტი თანხვედრაშია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მთავრობის პოლიტიკაა სოციალური დაცვის სისტემის შექმნით უზრუნველყოს ადამიანთა ღირსეული ცხოვრებისა და შრომის პირობები, შეამციროს მოსახლეობის სიღარიბითა და ხანდაზმულობით გამოწვეული სოციალური რისკები და ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და სხვა მოწყვლად ჯგუფებს, მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

სტრატეგიას დანართის სახით ერთვის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა [2020 წელი], რომელშიც სტრატეგიული მიზნების მიხედვით არის გაწერილი მუნიციპალიტეტის მიერ მომდევნო წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებები.

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახური, ფინანსური სამსახურისა და საკრებულოს აქტიური თანამონაწილეობით.

## არსებული სიტუაციის მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, 2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის<sup>1</sup> მონაცემებზე დაყრდნობით, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 21582 შეადგენს, რომელთაგანაც 3 707 ქალაქში, ხოლო 17 875 სოფლად მცხოვრები პირია. 2019 წლის აგვისტოს თვის მდგომარეობით, ბაღდათის მუნიციპალიტეტში საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობა 2016-ს<sup>2</sup> (ოჯახი 514) შეადგენს, ხოლო სოციალური პაკეტის მიმღები 1541 პირია<sup>3</sup>. სახელმწიფო პენსიაზე მყოფ პირთა რაოდენობა კი 5387, საიდანაც ყველა ასაკობრივ ჯგუფში ქალთა რაოდენობა ჭარბობს. ასაკობრივი პენსიის გარდა, მიმდინარე წელს 138 მარჩენალდაკარგული ფიქსირდება, რომლებიც იღებენ განსხვავებულ სოციალურ პაკეტს სახელმწიფო გასაცემლის სახით.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები 16 ძირითად მიმართულებას მოიცავს, სადაც სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ: სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად გაჭირვებული ოჯახები, ომის მონაწილეები და დაღუპულ მებრძოლთა ოჯახები, ხანდაზმულები, მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახები, სტიქიის შედეგად დაზარალებული პირები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახები, დიალიზით მოსარგებლე, დევნილი და ჩერნობილის ელექტრო სადგურის რეაბილიტაციაზე მომუშავე პირები. პროგრამების უმრავლესობა ორიენტირებულია ერთჯერად ფულად დახმარებაზე (გარდა უფასო სასაბავშვო კომპონენტისა და სამედიცინო დახმარებისა<sup>4</sup>), რომლის მინიმალური ოდენობა 50 ლარიდან 600 ლარამდე მერყეობს (თითოეულ პირზე გასაცემელი თანხა). გამონაკლისია სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახები, რომლებიც მაქსიმუმ 2500 ლარს ღებულობენ. დახმარების გაცემის წესით განსაზღვრულია თითოეული პროგრამის მიზნობრიობა, მითითებულია პროგრამით მოსარგებლე პირთა მახასიათებლები და გაცემისთვის საჭირო დოკუმენტების ნუსხა.

ბაღდათის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ, 2018 წელს, შესაძლებელი გახდა 1689 ბენეფიციარისათვის დახმარების გაცემა, რამაც ჯამში 351 448 ლარი შეადგინა, ხოლო მიმდინარე წელს (აგვისტოს მდგომარეობით) თანხა გაიკა 1098 ბენეფიციარზე.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს მუნიციპალიტეტის მთლიანი ბიუჯეტი განსაზღვრულია 6,196100 ლარით, რაც წინა წლებთან შედარებით გაზრდილი მაჩვენებელია. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ბიუჯეტით განსაზღვრულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის საკითხები. ბაღდათის მერიის პრიორიტეტებს შორის მიმდინარე წელს ინფრასტრუქტურულთან ერთად, სოციალური საკითხებიც მოხვდა. აღნიშნულიდან გამომდინარე გაზრდილია პროგრამული ბიუჯეტი და შესაბამისად, სავარაუდო ბენეფიციართა რაოდენობაც.

<sup>1</sup> მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

<sup>2</sup> [www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge); საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა

<sup>3</sup> იქვე, სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა რაიონებისა და თანხის ოდენობის მიხედვით;

<sup>4</sup> დახმარება გაიცემა ერთჯერადად, თუმცა არ ხდება თანხის მოქალაქისათვის ჩარიცხვა

გაზრდილი ბიუჯეტისა და გაწეული ძალისხმევის მიუხედავად, მუნიციპალიტეტის დონეზე აქტუალურ გადასაჭრელ საკითხებად იკვეთება:

- ! თემში არსებული მწვავე სოციალური პრობლემები:** სიღარიბე, ისევე როგორც უმუშევრობა არის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადგილობრივ დონეზე ოჯახების კეთილდღეობის მდგომარეობასა და მათი ცხოვრების ხარისხზე. შეფასების ფარგლებში აქტუალურ სოციალურ პრობლემათა შორის გამოიკვეთა მიგრაციის მაღალი მაჩვენებელიც, რაც დადებით კორელაციაშია რაიონში მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდების რაოდენობის შემცირებასთან. ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასთან მიმართებით, საგულისხმოა, რომ წამყვანი სოციალური პრობლემები ადგილობრივ დონეზეც იმავე სიმძაფრით არის წარმოდგენილი. იკვეთება, რომ მზარდია იმ ოჯახების რაოდენობა, რომლებიც მუნიციპალიტეტისაგან ითხოვენ თავშესაფრით დაკმაყოფილებას. საცხოვრებლით დროებით დაკმაყოფილების შემთხვევაში კი არ არსებობს ისეთი ბერკეტი და პროგრამა, რომელიც დაეხმარება საჭიროების მქონე ოჯახებს გაძლიერებაში, რათა გარკვეული დროის შემდეგ მათ თავად შეძლონ ოჯახების თავშესაფრით უზრუნველყოფა. შესაბამისად, პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები და ოჯახები, ხანგრძლივად რჩებიან ამ მომსახურების მიმღებთა შორის.
- ! განსაკუთრებულად მოწყვლადი ჯგუფები:** მრავალშვილიანი ოჯახები და მარტოხელა დედები ბავშვებზე ზრუნვის გამო ვერ ახერხებენ შრომით ბაზარზე ინტეგრირებას და ამასთან, მათთვის გაწეული დახმარება ხშირად არასაკმარისია საბაზისო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად კი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადგილზე სარეაბილიტაციო მომსახურებების დეფიციტია, რის გამოც ოჯახებს უწევთ რაიონის დატოვება და სერვისის მიღების მიზნით, დიდ ქალაქებში გადასვლა. მუდმივი ზრუნვის საჭიროების მქონე პირებს, განსაკუთრებით ხანდაზმულებს, არ მიუწვდებათ ხელი ღირსეულ ზრუნვაზე, მსგავსი მომსახურების არარსებობის გამო. ამასთან, დეფიციტურია ბავშვებისა და ახალგაზრდების სარეკრეაციო და არასასკოლო საგანმანათლებლო სივრცეებიც. თანაბარ გამოწვევად იკვეთება სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გაწეული დახმარების სიმწირე და ამ ოჯახების უნარი, მოახდინონ შემოსავლების ბიუჯეტირება და მიზნობრივად დახარჯვა. დამატებით, საკამათოა დახმარების მიმღებთა მხრიდან დამოკიდებულების გაჩენა ფულად დახმარებებზე, რაც ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა გამოვლინდეს დასაქმების ინტერესების დაკარგვითაც. აქვე, აღსანიშნავია სოფლის მეურნეობის კუთხით მოსახლეობის ჩართულობის შემცირებაც, რასაც ნაკლებმოსავლიანობა და/ან პროდუქტის რეალიზების გზების შესაძლებლობების სისუსტეც განაპირობებს.
- ! მიღებული მომსახურებების შესაბამისობა საჭიროებებთან:** მუნიციპალური დაფინანსება გათვლილია ერთჯერად გასაცემლებზე, რასაც დიდი ცვლილების გამოწვევა და ოჯახებისათვის გრძელვადიანი სარგებელის მოტანა არ შეუძლია. საგულისხმოა, რომ არსებული პროგრამირების პირობებში, მწვავე სოციალური პრობლემები რეაგირების გარეშე რჩება და ნაკლებად იძლევა ოჯახების მდგომარეობის გრძელვადიანად გაუმჯობესების შესაძლებლობას.
- ! სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების შემუშავების პრაქტიკა:** ახალი პროგრამების შემუშავება ხდება იმ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც იწარმოება

სოციალური სამსახურის მიერ და აჩვენებს წლის განმავლობაში შემოსულ მომართვებს, გაცემულ დახმარებებს და არ ხდება ბენეფიციართა საჭიროებების შესწავლა. ასევე, ვერ ხორციელდება დახმარების მიმღებთა კმაყოფილების, ან მიღწეული შედეგის გაზომვა. შესაბამისად, უცნობია რა გავლენას შეიძლება ახდენდეს მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული დახმარებები.

**!** **კოორდინაცია:** მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული მიმართულებებით ადგილი აქვს სხვადასხვა სამთავრობო უწყებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დადებით გამოცდილებას (მაგალითად შშმ პირების, ბავშვების დაცვის კუთხით), გამოწვევად რჩება ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალურ სამსახურსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის ინფორმაციის გაცვლის პროცედურები. რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მიწოდებული მომსახურებების დაზღვევა, ბენეფიციართა შესახებ დაუზუსტებელი ინფორმაციის არსებობა და შესაბამისად, პროგრამის მცდარ რაოდენობაზე გათვლა, რეფერირების პროცედურების სირთულეები და სხვა.

სტრატეგიული დაგეგმარებისთვის გამოყენებულ იქნა ისეთი მეთოდოლოგიური მიდგომა და ანალიტიკური ინსტრუმენტი, როგორც არის „SWOT“ (Strengths, Weaknesses, Opportunities, Threats) ანალიზი. ამ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია არსებული მდგომარეობის, ძლიერი და სუსტი მხარეებისა და საფრთხეების იდენტიფიცირება. ანალიზი ეფუძნება თემის საჭიროებების შეფასების შედეგად გამოვლენილ საკითხებს.

<b>S - ძლიერი მხარეები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა მაღალი ინტერესი, განსაზღვრონ საჭიროებები და შესაბამისად შეიმუშაონ და განაახლონ სოციალური პროგრამები;</li> <li>➤ მუნიციპალურ დონეზე სოციალური პროგრამების მიმართ გაზრდილი ინტერესი და ბიუჯეტი;</li> <li>➤ არსებული პროგრამების მოდიფიცირების მაღალი მოტივაციაა;</li> <li>➤ სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის თანამშრომელთა გამოცდილება პროგრამების მიწოდებისა და ბენეფიციარებთან კომუნიკაციის კუთხით;</li> <li>➤ შშმ პირების მხარდაჭერის კუთხით გადადგმული ნაბიჯები და შემუშავებული პროგრამები;</li> <li>➤ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პოზიტიური გამოცდილება.</li> </ul>
----------------------------	--

<p style="text-align: center;"><b>W - სუსტი მხარეები</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>↗ გრძელვადიან ეფექტზე გათვლილი პროგრამების არარსებობა;</li> <li>↗ არსებული პროგრამების ეფექტიანობის შეფასებისა და ადგილზე თემის საჭიროებების განსაზღვრის მექანიზმების არარსებობა;</li> <li>↗ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის სუსტი საკოორდინაციო მექანიზმები;</li> <li>↗ ზუსტი სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობა, იმ ბენეფიციართა შესახებ რომლებიც შესაძლოა საჭიროებდნენ დახმარების მიღებას (შშმ პირები, მარტოხელა ხანდაზმულები, მარტოხელა და მრავალშვილიანი ოჯახები და სხვა);</li> <li>↗ კერძო სექტორთან კომუნიკაციის არარსებობა;</li> <li>↗ ფინანსური და ადამიანური კუთხით შეზღუდული რესურსები.</li> </ul>
<p style="text-align: center;"><b>O - შესაძლებლობები</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>↗ სოციალური მუშაკის ინსტიტუტის დანერგვა მუნიციპალურ დონეზე, სოციალური მუშაობის შესახებ მიღებული კანონის გათვალისწინებით;</li> <li>↗ კომუნიკაციის გაფართოება თემში მომუშავე კერძო სექტორის დაინტერესის გაზრდისათვის;</li> <li>↗ საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წახალისება მუნიციპალური პროგრამების დანერგვა/განვითარების პროცესში მონაწილეობის კუთხით;</li> <li>↗ საზოგადოების ჩართულობის გაზრდა მუნიციპალური პროგრამების შემუშავებისა და შეფასების პროცესში;</li> <li>↗ განათლების სისტემის, სოციალური და ჯანდაცვის სამსახურებთან კოორდინაციის მექანიზმების გაძლიერება;</li> <li>↗ საპილოტე პროგრამების შექმნისა და გრძელვადიან ხედვაზე გადასვლის უკვე გამოკვეთილი საჭიროება.</li> </ul>
<p style="text-align: center;"><b>T - მოსალოდნელი საფრთხეები</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>↗ მუნიციპალურ დონეზე შეცვლილი პრიორიტეტები და სხვა მწვავე საკითხების პრიორეტიზაცია;</li> <li>↗ არასაკმარისო ადამიანური და მატერიალური რესურსით პროგრამების დანერგვის კუთხით შექმნილი სირთულეები;</li> <li>↗ გარე პარტნიორების დაბალი ინტერესი ითანამშრომლონ მუნიციპალიტეტთან და მოახდინონ მოთხოვნილი სერვისების მიწოდება.</li> </ul>

გამოვლენილი შესაძლებლობებისა და გამოწვევების შესაბამისად, განისაზღვრა წინამდებარე სტრატეგიული ხედვა, მიზნები და აქტივობები.

## სოციალური პოლიტიკის ხედვა

**ხედვა:** ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური არის ორგანო, რომელიც ხელს უწყობს მაქსიმალურად ხელსაყრელი გარემოს შექმნასა და ისეთი თემის განვითარებას, სადაც ყველა საჭიროების მქონე პირს აქვს თანაბარი ხელმისაწვდომობა მისთვის მნიშვნელოვან მომსახურებაზე, და თავისმხრივ, ეს მომსახურება მიმართულია გრძელვადიანად მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

**მისია/მიზანი:** სტრატეგიის მთავარი მიზანია მუნიციპალიტეტის ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ოპტიმალური გამოყენებით თემის კეთილდღეობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

## სტრატეგიული მიზნები

იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტმა ეფექტურად უპასუხოს თემში არსებულ გამოწვევებს, გაზარდოს მის მიერ ადმინისტრირებული პროგრამების ხარისხი და შედეგების მდგრადობა, 2020 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები მიმართული იქნება შემდეგი მიზნების მიღწევისაკენ:

მიზანი 1	ბაღდათის მუნიციპალიტეტის თემის საჭიროებების გათვალისწინებით სოციალური პროგრამების დანერგვა და განვითარება
მიზანი 2	სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ინსტიტუციური განვითარება სოციალური პროგრამების ადმინისტრირების გასაუმჯობესებლად
მიზანი 3	ადგილობრივ დონეზე დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციისა და თანამშრომლობის შესაძლებლობების გაძლიერება

\*მიზნების მისაღწევად დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების ჩართულობის წახალისებას და საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას მუნიციპალიტეტის მიერ ინიცირებული პროგრამებისა და მათი სარგებელის შესახებ.

## ამოცანები

სტრატეგიული ამოცანები არის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის ხედვით გათვალისწინებული ძირითადი მიზნის აღსრულებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელთა შესრულებაც განაპირობებს როგორც სამსახურის, ასევე მუნიციპალიტეტის საქმიანობის წარმატებას. შემუშავებული ამოცანები წარმოდგენილია სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად.

### მიმართულება 1: სოციალური პროგრამების დანერგვა და განვითარება

- 1.1 არსებული პროგრამებისა და მომსახურებების შეფასების, განახლების, განვითარებისა და ერთჯერადი ფულადი დახმარებიდან გრძელვადიან მომსახურებებზე გადასვლის კონცეფციის შემუშავება დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით (მათ შორის, რაოდენობრივი კვლევების დაგეგმვის, ბენეფიციართა შესახებ მონაცემთა განახლებისა და დახმარების საჭიროების მქონე პრიორიტეტული ჯგუფების შესახებ ინფორმაციის მოძიების მექანიზმების განსაზღვრა);*
- 1.2 სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების თემის საჭიროებებზე დაფუძნებით დაგეგმვის პრაქტიკის განვითარება და საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით გრძელვადიანი და მდგრად შედეგზე ორიენტირებული პროგრამების ინიცირება;*
- 1.3 პრევენციაზე მიმართული პროგრამების განვითარება რისკის ჯგუფებისა და საჭიროების მქონე ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერებისათვის, თანამონაწილეობითი დაგეგმარების პრინციპების გათვალისწინებით;*
- 1.4 სოციალური პროგრამების დანერგვა/განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება და ყველა შესაძლო მხარესთან ადვოკატირება მატერიალური და ადამიანური რესურსების მობილიზებისათვის.*

### მიმართულება 2: პროგრამების ადმინისტრირება

- 2.1 ბენეფიციართათვის მიწოდებული მომსახურებების ეფექტიანობისა და ზეგავლენის შეფასების მექანიზმის განვითარება, გამოცდილების მქონე ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;*

2.2 პოტენციურ ბენეფიციართა შესახებ მონაცემთა განახლებადი საინფორმაციო სისტემის (მონაცემთა ბაზების) განვითარება, მოწყვლად ჯგუფებად გამოკვეთილ პირთა შესახებ რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების მითითებით;

2.3 სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის პროგრამისა და სოციალური დახმარების გაცემის წესის სრულყოფა და ყველა პროგრამასთან მიმართებით დეტალურად და ნათლად სამიზნე ჯგუფების ჩამონათვალის, მოსალოდნელი შედეგების რისკებისა და ინდიკატორების მითითება;

2.4 გრძელვადიანი და პრევენციული პროგრამების დაგეგმვისა და ადმინისტრირებისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების არსებობის შეფასება სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის თანამშრომლებში და საჭირო საინფორმაციო/საგანამანათლებლო ტრენინგების მიწოდება პროგრამების ეფექტური ადმინისტრირებისათვის.

### **მიმართულება 3: კოორდინაცია და თანამშრომლობა**

3.1 სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სხვა ყველა რელევანტურ უწყებასა და ორგანიზაციასთან კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება (თანამშრომლობის შესაძლებლობებზე შეთანხმება და მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლის წესის განსაზღვრა);

3.2 რისკის შემთხვევების (მაგალითად, ძალადობის, თავშესაფრის, ჯანმრთელობის და სხვა) გამოვლენის, მათზე დროული რეაგირებისა და შესაბამის უწყებებთან რეფერირების (გადამისამართების) მიზნით, კოორდინირებული თანამშრომლობის მექანიზმის დანერგვა, განვითარება;

3.3 კერძო სექტორთან მუნიციპალიტეტის თანამშრომლობის ხედვისა და კონცეფციის შემუშავება, მათი სოციალური პრობლემების დაძლევის პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად და ადგილობრივ დონეზე ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის წახალისებისათვის;

3.4 ადგილზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით, მუნიციპალური დახმარებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის სტრატეგიების განვითარება და გამოყენება.

**სამოქმედო გეგმა<sup>5</sup>**

სტრატეგიის შესრულების სამოქმედო გეგმა 2020 წლისთვის			
<b>აქტივობა</b>	<b>2019 წლის III კვარტალი</b>		
მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულია სოციალური პოლიტიკის დოკუმენტი			
მომზადებული და დამტკიცებულია სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის პროგრამების განვითარების 4 წლიანი სამოქმედო გეგმა (შესრულების ინდიკატორებითა და ბიუჯეტით)			
განსაზღვრულია 2020 წლის სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულებისათვის საჭირო ბიუჯეტი და პასუხისმგებელი მხარეები			
<b>სტრატეგიული მიზანი 1: ბაღდათის მუნიციპალიტეტის თემის საჭიროებების გათვალისწინებით სოციალური პროგრამების დანერგვა და განვითარება</b>			
<b>აქტივობა</b>	<b>კვარტალი I</b>	<b>კვარტალი II</b>	<b>კვარტალი III</b>
მომზადებულია პროგრამებისა და მომსახურებების შეფასების, განახლების და განვითარების გრძელვადიანი ხედვა და კონცეფცია			
დაწყებულია საჭიროებების შეფასების საფუძველზე შემუშავებული პილოტური პროგრამების (შინ მოვლა, აუტიზმის სპექტრის დიაგნოსტიკა) განხორციელება შერჩეული მიზნობრივი ჯგუფებისათვის			
გადახედილი და მოდიფიცირებულია საბინაო პოლიტიკის კუთხით არსებული პროგრამა			
შემუშავებულია შშმ პირთა დღის ცენტრის პროექტი და დაწყებულია მუშაობა ფონდების მოძიებაზე			
განსაზღვრულია სოციალური პროგრამების განვითარებისა და დანერგვისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი			
დაწყებულია გრძელვადიანი პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო პარტნიორების მოძიება			

<sup>5</sup> სამოქმედო გეგმით გაწერილია სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მიღწევისათვის საჭირო აქტივობები, რომლებიც თავისმხრივ ეფუძნება თემის საჭიროებების შესწავლის შედეგად გამოვლენილი პრიორიტეტულ საკითხებს

სტრატეგიული მიზანი 2: სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ინსტიტუციური განვითარება სოციალური პროგრამების ადმინისტრირების გასაუმჯობესებლად			
აქტივობა	კვარტალი I	კვარტალი II	კვარტალი III
ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების გაცემის წესში შესულია ცვლილება და ნათლადაა გაწერილი სამიზნე ჯგუფები, ინდიკატორები, გაცემისა და შეწყვეტის წესი			
განვითარებული და პილოტირებულია ბენეფიციართათვის მიწოდებული მომსახურებების ეფექტიანობისა და ზეგავლენის შეფასების ინსტრუმენტები			
შემუშავებული და პერიოდულად განახლებულია ბენეფიციართა მონაცემთა ბაზები			
შეფასებულია წლის განმავლობაში განხორციელებული პროგრამების ეფექტიანობა და ბენეფიციართა კმაყოფილება			
შეფასებულია სოციალური და ჯანდაცვის თანამშრომელთა უნარები და გაწერილია ადამიანური რესურსის განვითარების მიზნით საჭირო ტრენინგები			
დაწყებულია ადვოკატირება დაინტერესებულ და ექსპერტიზის მქონე მხარეებთან მუნიციპალიტეტის თანამშრომელთათვის ტრენინგების მიწოდების უზრუნველსაყოფად			
სტრატეგიული მიზანი 3: ადგილობრივ დონეზე დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციისა და თანამშრომლობის შესაძლებლობების გაძლიერება			
აქტივობა	კვარტალი I	კვარტალი II	კვარტალი III
განსაზღვრულია იმ უწყებების ჩამონათვალი და მათგან გამოსათხოვი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა მუნიციპალური პროგრამების დაგეგმისთვის			
მომზადებული და გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ყველა შესაძლო დაინტერესებულ მხარესთან			
ინიცირებული და განხორციელებულია სამუშაო შეხვედრა ადგილზე მოქმედ კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, განსაზღვრულია შესაძლო პარტნიორები და თანამშრომლობის წერტილები			
განვითარებულია მუნიციპალიტეტის მხრიდან მომსახურების მიწოდებელ ორგანიზაციებსა და უწყებებთან ბენეფიციართა გადამისამართების მექანიზმები			
დაგეგმილი და განხორციელებულია მოსახლეობის ჩართულობითა და თანამონაწილეობით აქტივობები			

## დასკვნა

წინამდებარე სტრატეგიის წარმატებულად განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მომზადდეს სრულყოფილი სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებშიც გაიწერება კონკრეტული სტრატეგიული ამოცანების საპასუხო აქტივობები, პასუხისმგებელი უწყებებისა და დროითი ჩარჩოს მითითებით. ამასთან, მნიშვნელოვანია თითოეულ აქტივობასთან მიმართებით მოხდეს განფასება და მიეთითოს მათი შესრულებისათვის საჭირო თანხის ოდენობა.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, რაც სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, რადგან მიღწეული შედეგების შეფასებისა და ანალიზის საშუალებას იძლევა. შესაბამისად, დეტალურ სამოქმედო გეგმასთან ერთად უნდა განვითარდეს მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, ინდიკატორებზე დაფუძნებით, რაც სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების, მათი განხორციელების პროცესში წამოჭრილი სირთულეებისა და გამოწვევების გამოვლენის გარდა, მუნიციპალიტეტს დაეხმარება სამოქმედო გეგმაში საჭირო ცვლილებების იდენტიფიცირებაში. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდული მონიტორინგი და შეფასება უზრუნველყოფს მიღებული შედეგების მიზნებთან შესაბამისობის დროულად დადგენასა და განსახორციელებელი ცვლილებების გამოვლენას.

მუნიციპალიტეტს, შიდა მიზნებისათვის შეუძლია მოამზადოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშიც ყოველი წლის ბოლოს, სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მიღწევისა და ხარისხის გამოსავლენად. დოკუმენტი შესაძლოა შესაძლოა განხილულ იქნას ადგილზე არსებულ საბჭოებსა და საკრებულოს დონეზე.